№ 9 ოთხშაბათი, 13 იანვარი 1910 წ. № 9

დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

კნ. მარიამ (ციცინო) ჩიქოვანის ასული დადიშკელიანისა, ლევან და მურზახან დადიშკელიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას მეუღლისა, ხოლო უკანასკნელნი საყვარელ მამის

თავ. ბექირბეი ჯანსუხის ძის დადეშკელიანისას

დაკრძალვა დანიშნულია 16 იანვრისთვის სოფ. ცხუმარში (ზემო სვანეთი). (3—ნ.—1)

დედა ელისაბედ იაკობის ასული ელიოზიშვილისა, დეიდა ანნა დავითის ასული ნიკოლაევისა, მამიდაშვილი დავით ნიკოლოზის ძე შაბურიშვილი მეუღლითურთ და ნათლული ალექსანდრე ივანეს ძე ბუჭიევი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულად გარდაცვალებას

კაპიტან დავით ლუკას ძე ელიოზიშვილისას.

პანაშვიდი დღეს, დილის 10 საათზე, საკუთარ სახლში, მეჯევრის ქ. № 29. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—115—1)

თავადნი სვიმონ, მიხეილ და ზურაბ გიორგის ძენი და კნეინა ეკატერინე ალექსანდრეს ასული ერისთავნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 16 იანვარს, სოფელ ქისტაურში (თელავის მაზრა)

თავ. გიორგი (კიაზო) გიორგის ძის ერისთავის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. (1—116—1)

შაბათს, 16 იანვარს, სოფ. საწულუკიძეოს წმ. კვირიკის ეკლესიაში გადახდილი იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

თავ. სვიმონ გრიგორის ძის წულუკიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე **სოფიო (სონია) ალექსანდრეს ასული წულუკიძისა.** (1—ფ.—1)

წარმოდგენა № 27. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 27.

კვირას, 17 იანვარს 1910 წელს.

◀ **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით** ▶

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

უილიამ შექსპირი

ჰამლეტ

ტრაგედია 5 მოქმედებად თარ. ივ. მაჩაბლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, გ. გედევანოვი, ნ. გვარამძე, ზარდალიშვილი, სვიმონიძე, ი. ივანიძე, მგალობლიშვილი, მურვანიშვილი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ი. ყიფიძე, შ. საფაროვი, ვ. ურუშაძე.

ადგილების ფასი: ლოჟები 12 მ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე. გალერეია 40 კ.-დან 25 კ.-მდე. მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „სამეგრელოს მთავარი ლევან“, „სად მიხვალ“.
რეჟისორი **ვლ. ა.-მესხიშვილი.** რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

ქალ. ბათომში

ხუთშაბათს, 14 იანვარს, 1910 წ., საზოგადო საკრებულო დარბაზში გაიმართება მე-17 ქართული საღამო

ქართულ სცენის დამსახურებული არტისტ ქალის

◀ **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით** ▶

ბათომის ქართულ სკოლის სასარგებლოდ. საღამოს პროგრამა:

I

1) „**ხ ა ნ უ მ ა**“, მეორე მოქ., კომ. ა. ცაგარლისა, ნ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით.

2) **ქართული ხალხური სიმღერები.**

II

„**ო რ ი ო ბ ო ლ ი**“, მეხუთე მოქმედება, ნ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით.

III

1) „**მ ი ს ა ლ მ ე ბ ა**“ ქართული სცენის მსახიობს ნ. მ. გაბუნია-ცაგარელს.

2) „**მრავალ ჟამიერ**“.

3) **ს ც ე ნ ე ბ ი** სოფლის ცხოვრებიდან და გურული სიმღერები.

IV

1) **ცოცხალი სურათი:**

არმაზის დღეობა საქართველოში, წმ. ნინო და კერპების შემუსვრა. ევროპიული ცეკვა, ლეკური და უზანდარა. დასაწყისი 9 საათზე. ბილეთები იყიდება ნ. საბაევის მაღაზიაში და ქართულ სკოლაში, 14 იანვ. კი კლუბში. (ნ. 2—1)

ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სასარგებლოდ პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი

ივანე ჯავახიშვილი

ქართულად წაიკითხავს ოთხ ლექციას საქართველოს ისტორიიდან შემდეგ დღეებში: 13, 14, 15 და 17 იანვარს. ლექციების საგანი: „**ქართული ისტორიული ლიტერატურა საზოგადოებრივ აზრთა მიმდინარეობასთან შეკავშირებული მე-5—18 საუკუნოებში.**

ლექციები წაიკითხება პუშკინის სახელობის სახლში, ალექსანდრეს ბაღში და დაიწყება 17 იანვრის საღამოს 8 საათზე, ხოლო დანარჩენი ლექციები—7 საათზე.

ფასები ათი შაურიდან ხუთ შაურამდე. ბილეთები იყიდება პუშკინის სახელობის სახლშივე. (1—1)

ცნობილი ფირმა **აბრეშუმის თესლისა**

ხრისტო ს. ხრისტოდულიდისა

ამით აცხადებს, რომ მან გადასცა ამა 1910 წლიდან რამდენიმე წლით **განსაკუთრებული უფლება გაყიდვისა** თავის ფირმის აბრეშუმის თესლისა სავაჭრო სახლს **ი. გოკიელოვის** ძ—ს ქუთაისში და სთხოვს ყველა მისს თესლის მყიდველს, მიმართონ მას საკუთარ სავაჭროში ქ. ქუთაისში. (30—ნ.—1)

წლიწადი მესამე **დროება** **წლიწადი მესამე**

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ **1910** წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წელს გამოდიოდა.

◆ **ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება** ◆

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **8** მან. **50** კ., ნახევარი წლით—**4** მან. **80** კაპ., ერთი თვით—**80** კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. მ.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆

◆ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

◀ 1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ ▶

კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროები“-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ქიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ ი:

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ, редакція „ДРОЭБА“, И. С. Агладзе.

ძმ. ნიკიტინების ცირკი.

ოთხშაბათს, 13 იანვარს, 1910 წელს, დიდი წარმოდგენა 3 მოქმედებად. სხვათა შორის, **მეორე განყოფილებაში** შესანიშნავ **იაპონურ დასისა**, რომელიც შესდგება 25 კაცისაგან. ამ დასში სულ სახლის არტისტები არიან. საუცხოვო სანახავია.

დასი გამოვა ღამის 11 საათზე.

იაპონიის დასი მხოლოდ 5 ხასტროლზეა მოსული.

დასაწყისი სალამოს $8^1/_2$ საათზე.

დაწვრილებით პროგრამებში.

დირექტორი **ა. ნიკიტინი.**

(0—ნ.—15) გამგე **გამსახურდია.**

გლეხი-კაცის ისტორია

რამდენიმე აგენტისა და კიდევ მრავალ ხელის მოწერის მსურველ პირის თხოვნით „გლეხი-კაცის ისტორია“-ზე ხელის მოწერა, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიც გაგრძელდება **20 იანვრამდე.** ვინც ოც იანვრამდე არ შემოიტანს აგენტებთან ან გამომცემელთან ხელ-მოსაწერ ფულს, იმათთვის წიგნი არ დაიბეჭდება და გვიან მიღებული ფული უკანვე დაუბრუნდება პატრონს. აგენტებმა სრული ანგარიში უნდა გამოგზავნონ ადგილიდან ამ იანვრის **20—25-მდე გარეშე აგენტებისა ვისაც შეუძლიან თავის ნაცნობებში შვიდი ხელის-მომწერის შოვნა და შვიდ მანეთს წინდაწინვე გამოგზავნის ზემოხსენებულ ვადამდე, მას გაეგზავნება რვა წიგნი „გლეხი-კაცის ისტორია“ გამომცემლების ხარჯით.** რადგან **წიგნი ცალკე გასასაყიდად არ გამოვა,** სამკითხველოების გამგეებს შეუძლიათ შეიძინონ ხსენებული წიგნი მხოლოდ ხელის მოწერით. წიგნის ბეჭდვა დაიწყება აუცილებლათ **1-ლ თებერვალს** და ყოველიეე ღონე იქნება მიღებული დროზე საქმის დასასრულებლად.

ფული და ყოველგვარი მიწერ-მოწერა „გლეხი-კაცის ისტორია“-ზე ხელის-მოწერის შესახებ გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Кирочная ул. № 9. **Василію Гадилія.**

(5—ნ.—3) წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე **ვასილ გადილია.**

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. **ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. **გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. **ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. **მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

8. **ხ. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—245)

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე. 9—11 ს.

თიკანაძე ი. ე. დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—ნ.—83).

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ,ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—74)

სპეციალისტი ექიმი ქუთაისში

ჩ ა რ ე ქ ო ვ ი

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა), აბულაძის მესაზღვრე, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—12

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში.

იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: პუშკინის ქ., ს. წერეთლისა, ვიტუშინსკის აფთიაქის მეზობლად. მიიღებიან ბავშ., შინაგ. ქალ. ავადმყ. (25—ნ.—24

ექიმი ვასილ წერეთელი ქ უ თ ა ი ს შ ი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—91)

ქუთაისში ექიმი გაბ. იოს. გოკიელოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფები მიიღება და აგრეთვე **ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ე ლ ე ქ ტ რ ო ტ ე რ ი ა პ ი ა—ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—ვვ.—6)

ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (ხუხუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—ვვ.—147)

ქ უ თ ა ი ს შ ი

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—81)

ექიმი ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—33)

ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. (წლ

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელიშვილის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—341)

— ◀ **ვკისრულობ დაცვას** ▶ —

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლეს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო მეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ საიჯარო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—ნ.—24)

გამოცდილი რეპეტიტორი

ეძებს გაკვეთილებს. ასწავლის საშუალო სასწავლებლის პროგრამით და სიმწიფ. ატესტატ. სპეციალურად ასწავლის. (3—ნ.—2)

ტფილისი, 13 იანვარი

9 იანვარს შესრულდა ხუთი წელიწადი იმ საშინელ ამბის შემდეგ, რომელიც მოხდა პეტერბურგის ქუჩებსა და მოედნებზე, სადაც დაიღვარა „სიმართლის მაძიებელ“ მრავალ მუშათა სისხლი. ამ ამბავს, სხვათა შორის, შედეგად ის მოჰყვა, რომ მუშათა საკითხი ოფიციალურად იქმნა აღიარებული მორიგ საკითხად. სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობად იქმნა გამოცხადებული მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმე... მთავრობის პირველმავე ნაბიჯებმა გვიჩვენეს მაშინ, რომ ეს აღიარება და გამოცხადება ჩვეულებრივი ბიუროკრატიული დაპირება იყო და სხვა არაფერი, მაგრამ თუ ისეთ საარაკო მსვლელობას მიიღებდა ეს დიდი საქმე, როგორიც მიიღო, ეს მაინც მოულოდნელი იყო.

ხუთი წელიწადი საკმაოდ დიდი დროა. მიუხედავად ამისა, საკითხი დღესაც იმავ წერტილზეა შეჩერებული, რომელზედაც 1905 წლის დასაწყისში იყო. ხუთი წლის განმავლობაში ერთი თვალსაჩინო კანონიც არ გამოცემულა, რომელიც პირდაპირ მუშათა საქმეს შეეხებოდეს; ხოლო მთავრობის ადმინისტრატიული მოღვაწეობა-პრაქტიკა მუშათა დევნისა და მათ მიერ მოპოვებულ უფლებათა შემცირებისაკენ არის მიმართული. ასე იყო ყველა უკანასკნელ წლებში, ხოლო მაგალითისათვის შევჩერდეთ ახლად დასრულებულს წელიწადზე.

ადმინისტრატიული პრაქტიკა ამ წლის განმავლობაში ხასიათდება მუშათა ორგანიზაციების სასტიკის დევნით. მრავალი საპროფესსიო კავშირი იქმნა დახურული, მიუხედავად იმისა, რომ არც თავიანთ დაარსე-

ზით, არც საქმეთა წაყვანით ეს კავშირები არ არღვევდნენ 1906 წლის 4 მარტის კანონებს საზოგადოებათა შესახებ, არც სხვა არსებულ კანონებსა და მთავრობის განკარგულებათ. ეს დევნა იმდენად გახშირდა და მთავრობის თვითნებობამ იმდენად უმზგავსი ხასიათი მიიღო, რომ თვით მესამე სათათბირო შესწუხდა და მთავრობისთვის სიტყვის შებრუნება გაჰბედა: განიხილა ს.-დ. ფრაქციის თაოსნობით წარდგენილი შეკითხვა, მოისმინა მთავრობის განმარტებანი და დაადგინა—მთავრობამ ყურადღება მიაქციოსო, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ 4 მარტის კანონები დაიცვასო. რამდენად უსამართლო და უმაგალითო უნდა იყოს მუშათა დევნა, რომ ოქტომბრისტების უმრავლესობამაცკი უნდობლობა და საყვედური გამოუცხადოს მთავრობას!.. გარდა ამისა, ადმინისტრატიული პრაქტიკა ამ საკითხში გასულს წელს გამოიხატა სხვა და სხვა ცირკულიარის გამოცემაში, რომელთა ხასიათიც იგივეა, ესე იგი, შევიწროება მუშებისა და მათის ბრძოლით მოპოვებულ უფლებათა შეზღუდვა. ამ ცირკულიარებმაც მიიქციეს მესამე სათათბიროს ყურადღება და გამოიწვიეს შესაფერი შეკითხვა.

როგორც ვთქვით, გასულს წელს არც კანონმდებლობა ჩამორჩა ადმინისტრატიულს მოღვაწეობას. არც ერთი სასარგებლო და თვალსაჩინო კანონი ამ სფეროში არ გამოცემულა. ერთად ერთი კანონი, რომელიც სათათბირომ განიხილა და მიიღო, იყო ფინანსთა სამინისტროს კანონპროექტი ამ სამინისტროს უწყების მუშათა დაზღვევის შესახებ. მაგრამ, რამდენი „სტანჯეს და აწამეს" ეს პროექტი! რამდენჯერმე კომისიაში დააბრუნეს, აწვალეს და ბოლოს ფრთაშეკვეცილი გადასცეს სახელმწიფო საბჭოს. სამინისტროს პროექტით, დაზღვევა უნდა დაკანონებულიყო არა მარტო უბედურ შემთხვევათაგან, არამედ ეგრედ წოდებულ საპროფესსიო სენთაგანაც, რომელთა მეოხებით მუშები ხშირად ჰკარგავენ სამუშაო ძალას. სათათბირომ ეს მეორე, დიდმნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოათალა კანონპროექტს. ამრიგად, გასულ წელს მხოლოდ ერთი კანონი იქმნა მიღებული, ისიც შეეხება არა ყველა მუშებს, არამედ მცირე ჯგუფს ფინანსთა სამინისტროს უწყებისას და ისიც დამახინჯებული და ფრთაშეკვეცილი.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: სახელმწიფო საბჭო არც ამ ერთად-ერთისა და დამახინჯებულის კანონპროექტის დამტკიცებას აპირებს. მიზეზად იმას აცხადებს, რომ მთავრობა მუშათა დაზღვევის საერთო საზოგადო პროექტს ამუშავებსო და ეს კერძოობითი პროექტი რა საჭიროაო. ასე რომ ეს კანონ-პროექტიც უნდა „მაუდ ქვეშ ამოიდოს", როგორც ბევრი სხვა პროექტი აქვს ბიუროკრატიას მიძინებულ-დამარხული...

ასეთია ბიუროკრატიულ მთავრობის მოღვაწეობა „უპირველეს სახელმწიფო მოვალეობის საქმეში" იმ დროს, როცა მუშათა მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება. უკანასკნელ სამ—ორ წლის განმავლობაში აქა-იქ მომხდარი ანკეტები საზარელ სურათს გვიხატავენ: უმუშევრობა, სამუშაო ფასის უმაგალითო შემცირება, შიმშილი, დასნეულება. პეტერბურგის სატეხნიკო საზოგადოების მიერ გამართული ანკეტით, 1908 წლის დასაწყისს პეტერბურგში 70% მუშას ბინა არა ჰქონია, ქირაობდნენ მხოლოდ „კუთხეს" ან „ლოგინს" ოთახში. ორთაშუა რიცხვით მუშის შემოსავალი წელიწადში იქ უდრიდა 400 მანეთს. ცარიცინში გამოსულ ანკეტით, იქაურ მუშას წლიურად 260—300 მანეთი აქვს, ზოგ დარგში-კი 70 მანათი. ვლადიმირის საერობო გამგეობის ანკეტით, იმ რაიონში მხოლოდ 5% მუშას ჰქონდა თვეში 25 მანეთზე მეტი. ნახევარზე მეტი მუშა 15 მანეთით უნდა დაკმაყოფილდეს თვეში. საერთოდ, რუსეთის ცენტრალურ სამრეწველო რაიონის მუშათა მდგომარეობა უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში 25%-ით მაინც დაქვეითდაო, დაასკვნის მოსკოვის ანკეტა...

ასეთ ფონზე უფრო აშკარად იხატება დღევანდელ მთავრობისა და მის მორჩილ „პარლამენტის" მოღვაწეობა და სახელმწიფო უნარი.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 იანვარი.

არჩევნები ინგლისში

ლონდონი. სულ არჩეულია 520, ასარჩევია 150 დეპუტატი. ასკვიტის სამინისტრო იძულებული იქნება დაემყაროს ირლანდიელებსა და მუშათა პარტიაზედ. „ვესტმინსტერის გაზეტას" იმედი აქვს, რომ ლიბერალები და უნიონისტები ხელი ხელ ჩაკიდებულნი ივლიან ლორდთა პალატის უფლებათა შეზღუდვის დროს. კონსერვატიული გაზეთები აღნიშნავენ, რომ მთავრობა ნაციონალისტებისაგან არის დამოკიდებული, რომლებიც კაი თვალით არ უყურებენ ბიუჯეტს, რადგან ბიუჯეტში შეტანილია რამდენიმე მუხლი მაგარ სასმელებზედ ახალ გადასახადის დაწესების შესახებ.

საზღვარ-გარედ

ლონდონი. „ტაიმსი" სწერს: რუსეთის და იაპონიის პასუხი შეერთებულ შტატების წინადადებაზედ სხვა სახელმწიფოების პასუხიც არის, რადგან გერმანიამ, საფრანგეთმა და ინგლისმა თავის დროზედ განუცხადეს, თუ რუსეთი და იაპონია წინააღმდეგნი იქნებიან შეერთებულ შტატების წინადადებისა, ჩვენც მხარს დაუჭერთ მათაო. რაც შეეხება ჩინეთის პრინც რეგენტის რესკრიპტს ცინჯოუ-აიგუნის რკინის გზის შესახებ მას პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ჩინეთს არ შეუძლიან ამ რკინის გზის გაყვანა სანამ სახელმწიფოები არ შეთანხმდებიან ამის შესახებაო. შეერთებულმა შტატებმა სახელმწიფოებს წინადადება მისცეს ამ საქმეში საერთოდ ემოქმედნათ და ამიტომ მას არ შეუძლიან მხარი დაუჭიროს ჩინეთსაო.

ტოკიო. მთავრობამ გადასწყვიტა, უცხოელ ვაჭრებს უფლება მისცეს პორტ-არტურში თავისუფალ ვაჭრობისა. პორტ-არტურის დასავლეთი ნაწილი დაეთმობათ სავაჭრო გემებს, აღმოსავლეთი ნაწილი—სამხედრო გემებს.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატა. წაიკითხეს იმპერატორის ბრძანება ხედერვერის სამინისტროს დანიშვნის შესახებ. პრემიერ-მინისტრმა ხედერვერმა განაცხადა: მეფესა და ჰუნგრეთს შუა შუღლით მოხდა ჩამოვარდა და აი სწორედ ამ კრიზისის კონსტიტუციონურ ზომებით მოსასპობად ახალი სამინისტრო დაინიშნა. სამინისტროს იმედი აქვს, რომ დეპუტატთა პალატა მას მხარს დაუჭერს, წინაამდეგ შემთხვევაში ახალი არჩევნები დაინიშნება. მთავრობა დეპუტატთა პალატას წარუდგენს ეროვნულ ბანკის და რუმინიასთან სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ პროექტს. ამ პროექტების ბედისგან არის დამოკიდებული, შესაძლებელია თუ არა დეპუტატთა პალატის და სამინისტროს ერთად მუშაობაო.

სალონიკი. პავილიერ-რლის ახლო ოსმალეთის და ბოლგარიის მოსაზღვრე ჯარისკაცებს შეტაკება მოუვიდათ. წესიერება აღადგინეს.

სტამბოლი. დეპუტატთა პალატამ დაადგინა მიიღოს სულთან აბდულ-აზიზის ქალის საჩუქარი და დეპუტატთა პალატის სხდომები მის სასახლეშიაც გამართოს ხოლმე. ყველა მინისტრების თანადასწრებით დიდმა ვეზირმა წაიკითხა ახალ სამინისტროს პროგრამმა. მან სთქვა: დიდად მოხარული ვარ, რომ დეპუტატთა პალატის სადგომის დაწვის დროს არავინ დაშავებულა, რადგან ხალხის წარმომადგენლების სიცოცხლესთან ჩერიგანის სასახლე ანგარიშში ჩასაგდები არ არისო, ხალხის წარმომადგენლების სიცოცხლე დაუფასებელია. უპირველესად ჩვენ შევეცდებით სამართლიანობის დამყარებას. რეაქციის დამარცხების შემდეგ საჭირო აღარ არის განსაკუთრებული ზომები ახალ რეჟიმის დასაცველად. საჭიროა დათხოვნილ მოხელეების მდგომარეობის გაუმჯობესება. მთავრობა ამის შესახებ კანონ-პროექტს მალე შემოიტანს სამინისტრო ეცდება პროვინციებში მშვიდობიანობა და სამართლიანობა დაამყაროს და ამით ხელი შეუწყოს ერების დაახლოვებას და შეკავშირებას. ამას გარდა, სამინისტრო დაიცავს ოსმალეთის უფლებებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ელით თუ რას ვიტყვი კრიტეს შესახებ. ჩვენ არავის დაუთმობთ კრიტეს, კრიტეზე უზენაესი უფლებები სულთანს უნდა ეკუთვნოდეს და არა სხვა ვისმესო. დიდი ვეზირის სიტყვამ დეპუტატებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

კალკუტა. უმაღლეს სასამართლოში, შეთქმულთა საქმის განხილვის დროს, ახალგაზრდა კაცმა მოჰკლა პოლიციის აფიცერი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო შეთქმულთა აღმოჩენაში. მკვლელი ქუჩაში გავარდა. მას დაედევნენ ცხენოსანი პოლიციელები. უცნობმა ყუმბარა გადააგო, მაგრამ ყუმბარა არ აფეთქდა.

ოტტავა. ონტარიოს ტბის ახლო, სამგზავრო მატარებლის ლიანდაგიდან გადავარდნის დროს დაიღუპა 70 კაცი. 25 კაცის გვამი იპოვეს დამწვარ ვაგონში. ყველანი საშინლად დასახიჩრებულნი იყვნენ.

ბუდაპეშტი. პრემიერ-მინისტრმა ხედერვერმა ზედა პალატას გააცნო სამინისტროს პროგრამმა. ტისსამ მხარი დაუჭირა ხედერვერს, მხოლოდ არ მოეწონა საარჩევნო რეფორმა, ეს რეფორმა არც ჰუნგრეთს და არც ერს სარგებლობას არ მოუტანსო.

რუსეთი

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობა. დამცველმა პოლიციამ გაიგო, რომ 9 იანვარს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია სხვა და სხვა ქარხნებში მიტინგების გამართვას აპირობს. 7 იანვარს, ღამ. დამცველ პოლიციის აგენტებმა დააპატიმრეს სოციალ-დემოკრატების პეტერბურგის კომიტეტი, პროფესიონალურ კავშირების არალეგალური ბიურო და პარტიის რამდენიმე ცნობილი წევრი და პროპაგანდისტი. გაჩხრეკის შემდეგ პოლიციამ წაიღო პეტერბურგის და ერთი სარაიონო კომიტეტების ბეჭდები, პეტერბურგის კომიტეტის მთელი არხივი საბუთის ქაღალდებით, საიდანაც ნათლად სჩანს პარტიის მოქმედება, გექტოგრაფი, მიწერ-მოწერა და 9 იანვრისთვის დაწერილი პროკლამაცია, ზოგიერთმა დაპატიმრებულებმა უარი განაცხადეს თავიანთ ვინაობის გამომჟღავნებაზედ. დოკუმენტების გადასინჯვის შემდეგ გამოირკვა, რომ დაპატიმრებულების უმრავლესობა მონაწილეობას იღებდა ალბად სრულიად რუსეთის ლოთობასთან საწინააღმდეგო კრებაში და კრებას მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულებას აძლევდა.

ახალი ბუხარა. ბუხარაში თავს იყრიან მაჰმადიანი—უნიტები და თხოულობენ, რომ გადაყენებულ იქმნეს ბუხარის ემირის ნამესტნიკი ოსტანკულა კუშბეგი, მაჰმადიანი—შიიტი და მის ადგილას დაინიშნოს კაზიკალიანი, სუნიტი. ბუხარის მთავრობის თხოვნით, საქმეში ჩაერია ახალ ბუხარაში მობინადრე რუსის ჯარი. საღამოთი ხოცვა-ჟლეტა შეჩერდა. მოკლულია 100 კაცი. მაჰმადიანები შეიარაღებულე-

სიჩუმე

ლეონიდ ანდრეევისა.

I.

მაისის ერთ მთვარიან ღამეს, როდესაც ბულბულები გალობდნენ, მამა ეგნატეს ოთახში მისი მეუღლე შევიდა. ფოფოდიას სახეს ტანჯვა ეტყობოდა. პატარა ლამფა იმის ხელში თრთოდა. მიუახლოვდა ქმარს, ოდნავ შეეხო იმის მხარს და სლოკინით უთხრა:

— მამაო ვერასთან წამო!

მამა ეგნატემ ფოფოდიას თავ-აუღებლივ, სათვალეების ზემოდან, შუბლ-ქვეშ გაჰხედა. ასე უყურებდა დიდხანს, ვიდრე ფოფოდიამ ხელი არ ჩაიქნია და დაბალ სავარძელში არ ჩაჯდა.

— რა შეუბრალებელნი ხართ ორივენი!..—წამოიძახა ნელა, ხოლო უკანასკნელ სიტყვებზე ხმას აუწია. იმისი კეთილი, ხმელი სახე ტკივილებისაგან დაიღმიჭა, დაიღმიჭა ისე, თითქოს ამით უნდოდა გამოეხატა ქმრისა და ქალის გულქვაობა.

მამა ეგნატემ გაიღიმა, მერე წამოდგა, წიგნი დაჰკეცა, სათვალეები მოიხსნა, ბუდეში ჩასდო და ჩაფიქრდა. შავი, დიდი წვერი, ვერცხლის-ფერ ბეწვებ ნარევი, იმის მკერდს, ლამაზად გადახრილი, დაესვენა და ღრმა სუნთქვასთან ერთად მძიმედ ადიოდ-დადიოდა.

— კარგი, წამო!—სთქვა მან.

ფოფოდია საჩქაროდ წამოდგა და მკრთალის ხმით სთხოვა:

— მღვდელო! მხოლოდ ნუ გაუჯავრდები... ხომ იცი, რანაირია...

ვერას ოთახი ზემოდ იყო. ხის ვიწრო კიბე მამა ეგნატეს ფეხ-ქვეშ ეზნიქებოდა და ჰკვნესოდა. მაღალი და ჩასხმული მღვდელი თავსა ჰღუნავდა, რომ ზემო სართულის იატაკს არ მისჯახებოდა და როდესაც ტალის თეთრი ხალათი იმის სახესა ჰხვდებოდა, ზიზღით იღრიჯებოდა ხოლმე. მღვდელმა იცოდა, რომ ვერასთან ლაპარაკისაგან არა გამოვიდოდა-რა.

— რისთვის?—ჰკითხა ვერამ და ქალური გატიტვლებული ხელი თვალებთან მიიტანა. მეორე ხელი თეთრ საზაფხულო საბანზე იყო და ისეთი თეთრი და გამჭვირვალე იყო, რომ თავის სითეთრით საბნისაგან არაფრით განირჩეოდა.

— ვერა!—დაიწყო დედამ, მაგრამ დაასლოკინა და გაჩუმდა.

— ვერა!—სთქვა მამამ. სცდილობდა, თავისი ხმელი და სასტიკი ხმა დაერბილებინა:—ვერა, გვითხარ, რა გემართება?

ვერა ხმას არ იღებდა.

— ვერა! ნუ თუ ჩვენ, მე და დედა შენმა, შენი ნდობა ვერ დავიმსახურეთ? განა არ გვიყვარხარ? განა ჩვენზე მახლობელი კიდევა გყავს ვინმე?.. გვითხარი, რა დარდი გაქვს და მერწმუნე მოხუცს, გამოცდილს, რომ გულზე მოგეშვება. ჩვენ კი... აბა მოხუცს დედას შეჰხედე, როგორ იტანჯება...

— ვერა!.

— მეც...—ხმელი ხმა შედრკა. თითქოს მასში რაღაცა გადატყდაო:—მეც, გგონია, მშვიდადა ვარ? გგონია ვერა ვხედავ, რომ რაღაც დარდი გაწუხებს? მაგრამ რა დარდია, მე, მამა შენმა, არ ვიცი. განა ასე უნდა!..

ვერა ხმას არ იღებდა. მამა ეგნატემ წვერზე თითები განსაკუთრებულის სიფრთხილით ჩამოისვა და განაგრძო:

— ჩემი სურვილის წინააღმდეგ წახველ პეტერბურგს... ურჩს განა გწყევლიდი? ან ფულს არ გაძლევდი? ან იქნება სთქვა, რომ მე ალერსიანი არ ვიყავი? რას გაჩუმებულხარ?.. ესეც შენი პეტერბურგი!

მამა ეგნატე გაჩუმდა. წარმოუდგა რაღაც დიადი, საშიშარი, უცნობ ხიფათით და უცხო, გულგრილ ხალხით სავსე. იქ იყო მარტოხელა და სუსტი მისი ვერა! იქ დალუპეს იგი! მამა ეგნატეს სულში საშიშმა და გაუგებარმა ქალაქმა და შვილის ჯიუტმა გაჩუმებამ ავი სიძულვილი აანთო.

— პეტერბურგი არაფერ შუაშია! —მოღუშულად სთქვა ვერამ და თვალები დახუჭა:—მე არაფერი მიჭირს... წადით, დაიძინეთ! ასე სჯობიან... ეხლა გვიანაა.

— ვერა!—დაიკვნესა დედამ:—შვილო, მე გამომიტყდი, მე...

— ოჰ, დედავ!—მოუთმენლად გააწყვეტინა სიტყვა ვერამ.

მამა ეგნატე სკამზე ჩამოჯდა. გაიცინა.

— ჰოო, მაშ არაფერია?—დაცინვით ჰკითხა მან.

— მამავ!—მკვახედ უთხრა ვერამ და საწოლზე წამოიწია:—კარგად იცი, რომ შენ და დედა მიყვარხართ. მაგრამ ისე, ცოტად მომეწყინა. არაფერია, ყველაფერი გაივლის. მართალს გეუბნებით. წადით, დაიძინეთ. ხვალ, ან სხვა დროს მოვილაპარაკებთ.

მამა ეგნატე სწრაფად წამოდგა ისე, რომ სკამი კედელს მოჰხვდა და ცოლს ხელი წაავლო.

— წავიდეთ!

— ვერა!

— გეუბნები, წავიდეთ-მეთქი!—შეჰყვირა მამა ეგნატემ:—თუ მაგან ღმერთი დაივიწყა, ჩვენც ხომ ვერ დავივიწყებთ?!

მღვდელმა ცოლი ოთახიდან თითქმის ძალით გაიყვანა, და როდესაც კიბეზე ჩამოდიოდნენ, ფოფოდიამ ნაბიჯი უკლო და აკი ჩურჩულითა სთქვა:

— უ-უ! შენ გაჰხადე, მღვდელო, მაგეთი... ეგ ხასიათი შენგან გადაილო და პასუხსაც შენვე აგებ! ოჰ, მე უბედური!..

ატირდა, თვალები აახამხამა. საფეხურებს ვერა ჰხედავდა, თითქოს ქვემოდ უფსკრულის და ჩავარდნა უნდაო.

ამ დღიდან მამა ეგნატემ შვილთან ლაპარაკს თავი დაანება, ხოლო ქალი ამას თითქო ვერც-კი ამჩნევდა. ვერა ძველებურად თავის ოთახში იწვა. ხან დადიოდა და ხელის გულებით ხშირად, ძალიან ხშირად თვალებს ისრესდა, თითქოს ჩანაგვიანებულიაო. და ამ ორ სტუმარს შორის სიცილისა და ხუმრობის მოყვარული ფოფოდია ჰკრთოდა, იფანტებოდა და არ იცოდა, რა ექმნა.

ვერა ხანდახან სასეირნოდ გადიოდა.

ამ ლაპარაკის შემდეგ ერთი კვირა გავიდა. საღამოთი ჩვეულებრივ გარედ გავიდა. ამის შემდეგ ცოცხალი აღარავის უნახავს, რადგან მატარებელს ქვეშ ჩავარდა და შუაზე გადასწყდა.

ვერა თვით მამა ეგნატემ დაასაფლავა. ფოფოდია დასაფლავებას არ დასწრებია, იმიტომ რომ ვერას სიკვდილმა დამბლად ჩააგდო. წაერთვა ხელი, ფეხი და ენა. ნახევრად ჩაბნელებულს ოთახში უძრავად იწვა, როცა მახლობლად სამრეკლოზე ზარებს ჰრეკავდნენ. ფოფოდიამ გაიგო, ეკკლესიიდან როგორ გამოვიდნენ, ესმოდა, იმის პირდაპირ როგორ გალობდა მგალობელთა გუნდი. პირჯვრის დასაწერად ხელის აწევას სცდილობდა, მაგრამ ხელი არ ემორჩილებოდა. უნდოდა ეთქვა: „მშვიდობით ვერა!" მაგრამ დიდი და მძიმე ენა პირში უძრავად იდო. ისე მშვიდად იწვა, ვისმეს რომ შეეხედნა იტყოდა: ამ ადამიანს ან სძინავს ან ისვენებსო. მხოლოდ თვალები ჰქონდა ღია.

ეკკლესიაში და დასაფლავებაზე ბევრი ხალხი იყო.—მამა ეგნატეს ნაცნობნი და უცნობნი. ყველას ეცოდებოდა ასეთ საზარელ სიკვდილით მომკვდარი ვერა და მამა ეგნატეს ხმასა და მოძრაობაში მძიმე ნაღვლის პოვნასა სცდილობდა. მრევლს მამა ეგნატე არ უყვარდა, რადგან უკმეხად და ამაყად იქცეოდა, ცოდვილნი ეჯავრებოდა და არც ცოდვებს შეუნდობდა ხოლმე. თითონ კი, ამავე დროს შურიანი და ხარბი, ყოველი შემთხვევით სარგებლობდა, რომ მრევლისაგან მეტი აეღო. ყველას სურდა, რომ იგი მოტეხილი და ტანჯული ენახა; ენახა, „რომ იგი ქალის სიკვდილში თავს ორნაირ დამნაშავედ სახავდა: როგორც მკაცრი მამა და ცუდი მღვდელი, რომელმაც თავისივე სისხლი და ხორცი ცოდვისაგან ვერ დაიფარა. ამიტომ ყველა გამომცდელის თვალით შეჰყურებდა. მღვდელი კი, ჰგრძნობდა რა, რომ იმის ზურგზე თვალებია მიქცეული, სცდილობდა, ეს გონიერი და მაგარი ზურგი გაესწორებინა და ჰფიქრობდა არა მიცვალებულზე, არამედ იმაზე, რომ ხალხის თვალში თვითონ არ დაცემულიყო.

— გამოწრთობილია! — თავის ქნევით სთქვა მღვდელზე დურგალმა კარზინოვმა, რომელსაც მამა ეგნატემ ჩარჩოების ფასი, 5 მანეთი არ მისცა.

ასე გამაგრებულმა და წელში გასწორებულმა იარა მამა ეგნატემ სასაფლაომდის და იქიდანაც ასევე დაბრუნდა; მხოლოდ ცოლის ოთახის კარებში იმისი ზურგი ცოტათი მოიხარა. შეიძლება ეს იმიტომაც მოხდა, რომ სახლში ყველა კარი იმის სიმაღლესთან შედარებით დაბალი იყო. გარედან შესულმა ცოლის სახე სიბნელეში ძლივს გაარჩია. გაარჩია, რომ იგი სრულიად მშვიდი და უცრემლო იყო. ცოლის თვალებში არ იხატებოდა არც დარდი და არც სიბრაზე.

— თავს როგორ ჰგრძნობ?— ჰკითხა მამა ეგნატემ.

მაგრამ ფოფოდიას ტუჩები არ განძრეულა. ჩუმად ჰქონდა თვალებიც. მამა ეგნატემ ფოფოდიას ხელი შუბლზე დაადო. შუბლი ცივი და ნესტიანი ჰქონდა. ფოფოდიამ არაფრით არ გამოჰხატა ის, რომ იმას ხელით შეეხნენ. მამა ეგნატემ შუბლს ხელი მოაშორა. მას ორი ნაცრის-ფერი, ღრმა თვალი უყურებდა. ეს თვალები არა ხამხამებდნენ და ისე ეჩვენებოდნენ, თითქო შავებიაო. იმიტომა ხდებოდა ეს, რომ ფოფოდიას ბაიები გადიდებული ჰქონდა. ამ თვალებში არა სჩანდა არც სიბრაზე და არც მწუხარება.

— მაშ მე ჩემს ოთახში წავალ— სთქვა მამა ეგნატემ, რომელსაც ერთბაშად შესცივდა და შეეშინდა.

სასტუმრო ოთახი გაიარა. იქ ყველაფერი სუფთა და დალაგებული იყო. თეთრი ტილოებით გადაფარებული მაღალ სავარძლები შესუდრულ მიცვალებულებივით იდგნენ. ერთ კუთხეში მავთულის გალია ეკიდა, ცარიელი და კარებ გაღებული.

— ნასტია!—შეჰყვირა მამა ეგნატემ და თავისი ხმა უკმეხი ეჩვენა. შერცხვა, რომ ამ ჩუმ ოთახებში, შვილის დასაფლავების შემდეგ, ასე ხმა მაღლა ყვიროდა.—ნასტია!— ჩუმად დაიძახა:—იადონი რა იქნა?

ტირილისაგან ცხვირ გაჰარხალებულმა და დასიებულმა მოახლემ უკმეხად უპასუხა:

— განა არ იცი, სად იქნება? გაფრინდა.

— რად გაუშვი?—მრისხანედ შეიკრა კოპები მამა ეგნატემ.

ნასტია ატირდა. თავშლის წვერით თვალები მოიწმინდა და ცრემლიანმა უპასუხა:

— პატარა ქალბატონის სულია... განა შეიძლება მისი სახლში შენახვა?

მამა ეგნატეს ისე ეჩვენა, თითქოს პატარა, ყვითელი ჩიტი, რომელიც მუდამ თავგამოდებული გალობდა, მართლა ვერას სული იყო და ის ჩიტი რომ არ გაფრენილიყო, მაშინ ვერას სიკვდილზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა. მღვდელი მოავლეს უფრო გაუჯავრდა და დაუყვირა:

— დაიკარგე!—ხოლო როდესაც ნასტიამ კარებს დროით ვერ მოაგნო, მღვდელმა დაუმატა:—სულელო!

ი. ტ.

(დასასრული იქნება).

ბი არიან ბერდანკებით და ახალ სისტემის რევოლვერებით. ძველ ბუხარაში რუსეთის დაწესებულებებს იცავს რუსის ჯარი. სამარკანიდან ბუხარაში გაიგზავნა ერთი როტა ქვეითა ჯარი, ასი ყაზახი და ოთხი ტყვის მტყორცნელი.

პოლტავა. საეროზო დარაჯები სოფელ ველიკაია ბურომტოს ახლო დაეწივნენ ბოროტ-განმზრახველებს, რომელნიც სოფელ-სოფელ დაიარებოდნენ და სხვა და სხვა პირებს ქონებას უწვავდნენ. დარაჯებმა მოჰკლეს ორი ბოროტ-განმზრახველი. დანარჩენები მიიმალნენ. დაჭრილია ერთი დარაჯი.

პეტერბურგი. საერო განათლების სამინისტროსთან შესდგა კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ზომები მოწაფეებში ლოთობის აღმოსაფხვრელად.

პეტერბურგი. განკარგულება გაიცა, სისრულეში მოიყვანონ სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც პეტერბურგის დამცველ პოლიციის უფროსის პოლკოვნიკ კარპოვის მკვლელს, ვოსკრესენსკის სიკვდილი მიესაჯა.

მოსკოვი. მოსკოვის უნივერსიტეტმა გამოსცა წლიური ანგარიში. გასულ წელს უნივერსიტეტში ყოფილა 10086 სტუდენტი. შემოწირულება შესულა 75,000 მანეთი, სტიპენდიებზე დაუხარჯიათ 192,000 მანეთი და ძირითადი თანხა ჰქონიათ ექვსი მილიონი მანეთი.

ნოვოჩერკასკი. სამოსამართლო პალატამ განიხილა 20 ანარქისტ-კომუნისტთა საქმე. ჰბრალდებოდათ ალექსანდროვკა-გრუშევკაში ჩრდილოეთ ბანკის კანტორის და სახაზინო არყის რამდენიმე დუქნის გაცარცვა. სასამართლომ გადაუწყვიტა: რვას თხუთმეტ-თხუთმეტი წლით, ორს ათ-ათი წლით, ორს ოთხ-ოთხი წლით და რვა-რვა თვით კატორგა. დანარჩენები გაამართლა.

ყაზანი. დაიწვა კრესტოვნიკების კართოფილის სანთლის ქარხნის ნაწილი. ზარალი 500,000 მანეთს უდრის. დაშავდა ორი ცეცხლის მქრობელი.

მოსკოვი. ხოლერით ავად არის 9 კაცი. უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად აღარავინ გამხდარა.

პეტერბურგი. სამხედრო სასამართლომ გაარჩია ხუთი კაცის საქმე. ჰბრალდებოდათ საყავე „ცენტრალში" აფეთქების მოხდენა. სასამართლომ ერთი გაამართლა, დანარჩენებს სხვა და სხვა ვადით ($2^1/_2$—4 წლამდის) კატორგა გადაუწყვიტა.

მეტი სინათლე?!

ისეთი უბედურება, როგორიც ვერის დაღმართზე მოხდა 5 იანვარს, იშვიათი მოვლენაა არა თუ ტფილისში, ყველგან, სადაც ტრამვაის მოძრაობა სწარმოებს. 32 ადამიანის დაშავება, დასახიჩრება თუ სიკვდილი—აი, შედეგი ამ უბედურებისა. ვინ არის დამნაშავე, რა არის მიზეზი უბედურებისა ან რა ზომები იქნება მიღებული შემდეგისთვის, რომ ამგვარი უბედურება კიდევ არ დაგვატყდეს თავზეო—ჰკითხულობს საზოგადოება, მაგრამ გადაჭრილი პასუხი ჯერ არსაიდან არ არის. რა ვქნათ, ჩვენ უუფლებო ხალხი ვართ, ნამდვილ სიმართლეს ძნელად თუ გავიგებთ. ეს უბედურება რომ ტრამვაის საზოგადოების სამშობლოში მომხდარიყო—ბრიუსელში, ოსტენდეში, ანტვერპენში ან სხვაგან — მთელი იქაური მოწინავე პრესა ამხედრდებოდა, ნამდვილ დამნაშავეს გამონახავდა და პასუხის გებაში მისცემდა; პარლამენტის ტრიბუნიდან ვანდერველდე, დესტრე, და ფირნემონტი ერთხელ კიდევ გადასახებდნენ ბელგიის გაუმაძღარ ბურჟუაზიას; „მსუნაგებო, კმარა, ფულში დაიბადეთ, ფულშივე დაიხრჩვებითო!" მაგრამ ჩვენ, ვიმეორებთ, ყოველსავე ამას მოკლებულნი ვართ, არა გვაქვს პარლამენტი, არა გვყავან ვანდერველდები. უუფლებო ხალხში ადვილად ბატონობენ უცხოელი ბურჟუაზია და მისი წარმომადგენელნი. ჩვენი თავის დაცვა ჩვენს მუნიციპალიტეტს მივანდეთ, მაგრამ იმისმა ინჟინერმაც დამნაშავედ „მეისრე" სცნო და ამით, ვითომ ახალი ქვეყანა აღმოაჩინა.

რას აბრალებენ ვატმანს? ვითომ ვატმანმა ძალას ზედ-მეტად მოუმატაო, ტორმოზი თავის დროზე არ იხმარაო, ტორმოზი ბორბლებს ძლიერ მოუჭირაო და სხვა. ყველამ ვატმანმა იცის, რომ თითქმის ოლგის ქუჩიდან დაწყებული ვერის დაღმართზე არავითარი ძალა არ არის საჭირო, ვაგონის სიმძიმეც საკმაოა იმის ჩასასვლელად. ვატმანს ტორმოზი ხელში უჭირავს და მხოლოდ იმით მოქმედებს, მაშასადამე, უკვე ოლგის ქუჩიდან უჭერს თან და თან ტორმოზს. ეჭვს გარეშეა, რომ ვატმანი, როგორც წინად, ამ დღესაც ასე მოიქცეოდა და თუ ამითაც ვერაფერს გახდა, ეს იმისი ბრალი არ არის და „ძაღლის თავი" სხვაგან უნდა ვეძიოთ.

ჩვენ გვინდა დავამტკიცოთ, რომ ვატმანს ძალის მომატება არ შეეძლო და თუ უცაბედად მოუმატა, ელექტრონის ძალის უპირატესობა სწორედ იმაშია, რომ მისი რეგულიზაცია ერთი წუთის საქმეა. ტორმოზს ვატმანმა ოლგის ქუჩიდან დაუწყო მოჭერა და როდესაც ვაგონმა სიჩქარეს მაინც მოუმატა, მას სხვებიც დაეხმარნენ და ტორმოზს ზედმეტად დაუწყეს მოჭერა, ასე რომ ბორბლები აღარც-კი ტრიალობდნენ თურმე. მაგრამ ამისათვისაც სწყრებიან — ბორბლებზე გასაჩერებელი რკალები ძლიერ მოუჭერიათო. სამაგიეროდ, რომ არ მოეჭირათ, იტყოდნენ — არ მოუჭერიათო. ტორმოზის დანიშნულება ის არის, რომ **რაც შეიძლება შეასუსტოს** ბორბლების თავისუფალი ტრიალი. მართალია, ტორმოზი ისე უნდა იყოს მოჭერილი, რომ ბორბლები ტრიალებდნენ და არა სრიალებდნენ, რათა ვაგონის სიარული არ შეფერხდეს, მაგრამ 5 იანვრის ვაგონმა დაჰკარგა თავის სიმძიმის ცენტრი და კი აღარ მიდიოდა—მიჰქროდა. ვატმანიც ამ კრიტიკულ მდგომარეობაში იმ საშუალებას მოეჭიდა, რაც ხელთა ჰქონდა. რას გააკეთებდა ამაზე მეტს სხვა იმის მდგომარეობაში? ვერაფერს.

არის კიდევ ერთი საშუალება ელექტრონის ტრამვაიზე—ელექტრონის ტორმოზი. რა არის ეს ტორმოზი? უთუოდ ბევრს მოეხსენება, რომ ყველა ელექტრო-ტორმოზი ორ უმთავრესს ნაწილისაგან შესდგება—ინდუქტორისა და არმატიურისაგან. ელექტრონის ტოკი ჰაეროვან მავთულიდან ჯერ ინდუქტორში მიდის და შემდეგ არმატიურაში. ერთნაირ მექანიზმის საშუალებით ეს მოტორი ღერძს და ბორბლებს აბრუნებს. თუ გვინდა ვაგონი უკან დავწიოთ, უნდა შევცვალოთ ინდუქტორში ტოკის (ელექტრონ. ტალღის) მიმართულება. აი ეს საშუალება შეიძლება გამოყენებულ იქმნას ელექტრონის ტორმოზად. მაშინ მექანიკური ტორმოზი სუსტად უნდა იყოს მოჭერილი. ეს საშუალებაც, ვგონებ, გამოყენებულ იქმნა. კონტროლიორის გვათუას ვაჟკაცობაც სწორედ ეს იყო: ის ახტა გაქანებულ ვაგონზე და უკან დასაწევი ძალა მისცა, მაგრამ მისმა ვაჟკაცობამაც ვერ გასჭრა და საქმეს ვერ უშველა. რატომ? ტორმოზების როლია—ბორბლების ტრიალის **მოწინააღმდეგე ძალა** განავითაროს, მაგრამ არის მეორე **ძალა**, ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი. ეს ძალა ბორბლებსა და რელს შუა ვითარდება,—ამას ჩვენ დავარქვათ **ხახუნი** (треніе). აი, ეს ძალა სულ არ იყო რელსებსა და ბორბლებს შუა 5 იანვარს, რომ შეეკავებინა დაქანებულ ვაგონის სიმძიმის ცენტრი. ამ ძალის განსავითარებლად საჭირო იყო რაც შეიძლება მეტი ქვიშა, კარგა მშრალი და დაფხვნილი და ან სულ უაყალო ან რაც შეიძლება ცოტა აყალოიანი. დღემდის კი იქ აყრიან უფრო ხშირად ტალახიან ქვიშას, კენჭებით სავსეს. იმ დღეს ეს ცუდი ქვიშაც საკმაო არ იყო. ვინ არის დამნაშავე? ვატმანი? არა—დირექცია ტრამვაის დირექცია კარგ თვისების ქვიშას არ აყრის იმისთანა დაფერდებულ გზებს, როგორიცაა ვერისა და ციციანთ დაღმართები, ამასთან ქვიშა საკმაო არ ეყრება. მაშინ, ციციანთ დაღმართზე ვაგონის დაქანების შემდეგ, დირექციას ყოველი ზომა უნდა ეხმარა, რომ ასეთი ამბავი არ განმეორებულიყო ამდენის მსხვერპლით. ამისთვის დირექცია პასუხის-გებაშია მისაცემია.

ჩავყვეთ ქვემოდ. როცა ვაგონმა თავი ველარ შეიკავა და დაეშვა, ვერის ხიდის გასწვრივ, მოსახვევში ლიანდაგს გადასცილდა, გაირბინა რამოდენიმე მანძილი, რკინის სვეტს დაეტაკა და დაიმსხვრა. ინერციის კანონის ძალით გაქანებული ვაგონი პირდაპირ გზას დაადგებოდა და, რკინის სვეტი რომ არ დაჰხვედროდა, უეჭველად იქ გაჩერდებოდა, სადაც დავაკდებოდა, როგორც ციციანთ დაღმართზე დაქანებულ ვაგონს მოუვიდა. მაგრამ ვაგონის მოსაბრუნებლად ან, უკეთ რომ ვსთქვათ, იმის სიმძიმის ცენტრის მოსაბრუნებლად საჭიროა მოსახვევში ერთნაირი ძალა — **ცენტრიპეტული** ძალა, რომელიც მოსახვევის რადიუსზე მიდის ცენტრისკენ და აბრუნებს ვაგონს. რამდენადაც მეტია სიჩქარე (ვაგონისა), იმდენად მეტია ეს ცენტროპეტული ძალა. ამ ძალის შესაქმნელად საჭიროა მოსახვევში **ერთი** რელსი (გარეგანი) აიმაღლოს ისე, რომ ლიანდაგი მოსახვევში ცოტა გვერდზე გადმოფერდებული იყოს მოსახვევის შიგნით. რელსის ამაღლებაც სიჩქარეზეა (აქ ჩვენ ეს ფაქტორი უფრო გვაინტერესებს) დამოკიდებული, მაგრამ როდესაც მოსახვევში ლიანდაგი კეთდება, სიჩქარე ნორმალურ სიჩქარეზე ცოტა მეტი უნდა იყოს მიღებული; ამასთან რადგან მოსახვევში ლიანდაგს დიდი ჯაფა აწვება, აქ შპალები ორჯერ მეტი უნდა დაიწყოს, ვიდრე სხვაგან. აკმაყოფილებს თუ არა ამ ტეხნიკურს მოთხოვნილებას ხსენებულ მოსახვევში დაგებული ლიანდაგი? არა. დაქანებულ ვაგონს დიდი სიჩქარე ჰქონდა, საჭირო იყო მოსახვევში დიდი ცენტროპეტული ძალა. ე. ი. გარეგან რელსის ამაღლება. რადგან ასეთი არა იყო-რა, ვაგონი განზე წავიდა და რაც მოუვიდა, ყველამ ვიცით.

ვინ არის დამნაშავე? ვატმანი? არა— ქალაქი და ქალაქის ინჟინერი. ქალაქი თვალ-ყურს არ ადევნებს, როგორ კეთდება ქალაქში ლიანდაგი და ქუჩები, სად ისმება ქუჩებზე ბოძები და სხვა. ამისათვის პასუხი უნდა აგოს ქალაქის ინჟინერმა.

არის კიდევ ერთი მიზეზი, რომელმაც უსათუოდ ხელი შეუწყო, რომ უბედურებას ბევრი მსხვერპლი შეეწირა. ვაგონების ერთი მხარე რომ მოაჯირით არ იყოს აკრული, უეჭველია ბევრი უშველიდა თავს. ორივე მხრიდან ხალხი გადახტებოდა, ხოლო მცირე დაშავება სჯობს თავ-პირის დამსხვრევას და ხელ-ფეხის მოწყვეტას. სხვაგან—ვერც ევროპაში და ვერც რუსეთში—ვერა ნახავთ ამის მსგავს რასმეს. იქ ერთი ჯოხია გადებული, რომელსაც ხან ზევით ასწევენ, ხან დაბლა დაუშვებენ. იქ ხალხმა კარგად იცის, თუ რომელი მხრიდან უნდა ავიდეს ვაგონში.

ამნაირად, ჩვენის აზრით, ვერის დაღმართზე მომხდარ უბედურობის **უმთავრესი** მიზეზები შემდეგია: 1. დაღმართის იმ ადგილიდან, სადაც დაფერდება მატულობს, ვაგონმა დაჰკარგა თავის სიმძიმის ცენტრი და გაქანებული დაეშვა დაღმართზე, რადგან რელსებსა და ბორბლებს შუა საკმაო ძალა არ იყო ხახუნისთვის (треніе); ეს მოხდა იმიტომ, რომ იმ დღეს (ამასთან წვიმიანი დღე იყო) საკმაო ქვიშას არ აყრიდნენ რელსებზე და თვით ქვიშას ბევრი კენჭი და აყალო მიწა ერია, რომელიც ავსებს ლიანდაგის ამოღრმავებულ ნაწილს, 2. გზის გაკეთების დეფექტები. 3. ვაგონებზე გაკეთებული მოაჯირები. პასუხის მგებელია — დირექცია და ქალაქის ინჟინერი.

საშუალებანი: პირველი ეს ქვიშაა. ვერისა და ციციანთ დაღმართებზე უნდა აყრიდნენ საკმაო ქვიშას, რაც შეიძლება მშრალს და დაფხვნილს, რასაც კენჭები და აყალო მიწა არ უნდა ერიოს.

საჭიროა ვაგონების ქვეშ ორივე მხრიდან, ბორბლების მახლობლად, ისეთი მექანიზმი (ჩანგლების მსგავსი) მოეწყოს, რომელიც, როდესაც ვაგონი სიჩქარეს მოუმატებს, ავტომატიურად ან რაიმე სხვა საშუალებით რელსებს სჭიდებდეს პირს. ამნაირი მექანიზმი განხორციელებულია ვერტიკალურ მაღაროში. როცა გალია (клѣтка) ვერტიკალურ მაღაროში კანატზე დაკიდებულ რელსებზე მისრიალებს, თუ რაიმე მიზეზისა გამო კანატი გაწყდა, გალია თავის სიმძიმით დაექანება, მაგრამ ორივე მხრიდან მას მიკრული აქვს ისეთი მექანიზმი (ჩანგლების მსგავსი), რომელიც სიჩქარის მომატებისა გამო იწევა და რელსებს ებჯინება. ამნაირად, გალია და შიგ მჯდომი უბედურებას თავს აღწევს.

საჭიროა მოსახვევებში ერთი რელსის (გარეგანის) ამაღლება და ამ მოსახვევებში არავითარი ბოძი არ უნდა იყოს დასმული,

საჭიროა ვაგონებზედ მოაჯრები მოიშალოს, მაგრამ ჩვენც უნდა მივეჩვიოთ ვაგონებში ჯდომას იმ მხრიდან, საიდანაც საჭიროა.

ტეხნიკამ ბევრი საშუალება გამოიგონა და ბევრს კიდევ იგონებს ყოველ დღე ადამიანის ცხოვრების გასაუმჯობესებლად და სიცოცხლის დასაზოგავად, მაგრამ ბურჟუაზია იმისთანა საშუალებებს უფრო ჰკიდებს ხელს, რომელიც იაფად უჯდება და ჯიბეს უსქელებს. არ ეპიტნავება ისეთი საშუალება, რომელიც ხარჯს უმატებს და პირდაპირ სარგებლობას-კი არ აძლევს იმის ჯიბეს. ამისათვის საჭიროა ტრამვაის მუნიციპალიზაცია.

Mineur.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი. ცნობილ იალტის გენერალს ივანე დუმბაძეს დღეს-ხვალ მოელიან პეტერბურგში. როგორც დაბეჯითებით ამბობენ, დუმბაძეს უმაღლეს ადმინისტრატიულ თანამდებობას აძლევენ. მგონი— პეტერბურგის გრადონაჩალნიკად ნიშნავენ.

საქართველოს ახალი ექსარხოსი ინოკენტი უკვე ჩამოვიდა პეტერბურგს. ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც ინოკენტის ეპარქიაში იყო გაგზავნილი, სანაგსარის მონასტერში, არ უნახავს, თუმცა იმის გვერდით აქვს ბინა. როგორც ემჩნევა, მაინც და მაინც გულ დამშვიდებული ვერ მიემგზავრება. ჯერ აქ პეტერბურგში ინოკენტის ბინას „ოხრანის" აგენტები დარაჯობენ. ამ გარემოებას ყველა დიდ ყურადღებას აქცევს, რადგან არც ერთ ეპისკოპოსს არ დარაჯობენ პოლიციელნი.

ეპისკოპოზი კირიონი ერთი თვის ექიმობის შემდეგ თავს უფრო ჯანმრთელადა ჰგრძნობს, ნერვებიც დაწყნარდა. ორ-სამ თვეს კიდევ განაგრძობს საავადმყოფოში სიარულს. მიუხედავად ავადმყოფობისა, კირიონი ბევრს მუშაობს. შემდეგ, შეიძლება, ძველ ათონზე წასვლის ნება მისცეს უწმიდესმა სინოდმა. აქაური ეპისკოპოსები და მიტროპოლიტი კირიონს ეხლა თანაგრძნობით უცქერიან, რადგან არც ერთი იმის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება არ გამართლდა.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **დავა ადგილების შესახებ**. კარგა ხანია სოხუმის ქალაქის თვითმმართველობას დავა აქვს სამხედრო-სახალხო მმართველობასთან სოხუმის მახლობლად მდებარე სხვა და სხვა ადგილის შესახებ. სხვათა შორის, ასეთ სადაო ადგილად ითვლება სოხუმის რაიონში მდებარე ადგილები ეგრედ წოდებული „ტრაპეცია" და „მატროსთა სლობოდკა". სოხუმის თვითმმართველობა ამ ადგილებს თავისად სთვლიდა, ხოლო სამხედრო-სახალხო მმართველობა თავისად. ეს დავა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განუხილავს და სოხუმის ქალაქის თვით-მმართველობის დამარცხებით დასრულებულა, ხოლო როდესაც ქალაქს ტფ. სამოსამართლო პალატაში განუსაჩივრებია, პალატას დაუდგენია: ამ დავის გადაწყვეტა მიენდოს თვით სამხედრო-სახალხო მმართველობასაო. სოხუმის ქალაქის თვით მმართველობის ინტერესების დამცველებს ნაფიც ვექილთ გ. გვაზავას და დემიდოვს ეს საქმე გადაუტანიათ სენატში, საიდანაც ამ დღეებში გვაზავას მიუღია დეპეშა, რომ სენატს დაუდგენია: დაუბრუნდეს ტფ. სამოსამართლო პალატას ეს საქმე ხელ მეორედ განსახილველად.

✦ **5 იანვრის უბედურების მსხვერპლნი**. 5 იანვარს ვერის დაღმართზე მომხდარ უბედურების დროს დაშავებული ვაჭარი სარქისოვი მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა. ბელგიის უსახელო საზოგადოებამ 300 მან. გადასცა ვაჭარ სარქისოვის მემკვიდრეებს დასაკრძალავად. ამ რიგად დღემდე 5 იანვარს დაშავებულთაგან სამი კაცი გარდაიცვალა.

✦ **წიგნების მიღება**. განსვენებულმა პროფესორმა ვ. პეტრიაშვილმა თავისი ძვირფასი ბიბლიოთეკა უანდერძა წ.-კ. საზოგადოებას. ოდესიდან მთავარმა გამგეობამ უკვე მიიღო 8 ყუთი წიგნებით სავსე.

✦ **აღრიცხვა**. ტფ. ქალაქის გამგეობამ კარგა ხანია შეადგინა მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა, მაგრამ საბჭოს კანცელარიას დღემდე არ წარუდგენია აღრიცხვა დასამტკიცებლად სათანადო მთავრობისათვის.

✦ **იუბილეი**. წელს სრულდება 35 წელიწადი, რაც სომხის ნიჭიერი მწერალი ბ-ნი შირვანზადე სალიტერატურო ასპარეზზე ილვწის. აზრადა აქვთ, მალე ტფილისში მისი იუბილეი გადაიხადონ (ნ. რ.)

✦ **მასწავლებლების დაპატიმრება**. ოზურგეთში წარსულ წლის 23 დეკემბერს, ამას წინად იქ მოკლულ დარაჯების გასვენების დღეს, დაუპატიმრებიათ ასკანის მასწავლებელი სილოვან წაქაძე; 24 დეკემბერს—საქალებო სასწავლებლის მასწავლებლები: მუცა ჯაყელი და ხვარამზა ბერეჟიანი, დები წუწუნავები. დაპატიმრებული გიორგი ართმელიძე გაუნთავისუფლებიათ. (ფ.)

✦ **სომხის მღვდლები**. „ბაკუ"-ს (სომხების გაზეთია) პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სამხრეთ ეპარქიის ერთმა ეპისკოპოსმა სინოდს აცნობა, რომ სომხის მღვდლები, განსვენებულ კათოლიკოსის ბრძანებით, ჯვარს არა სწერენ სომხებს მართმადიდებლებზე, მაშინ, როდესაც ამაზე უარს არ ეუბნებიან ლიუტერანებს და კათოლიკებს. სინოდი ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს შეეკითხაო.

✦ **ლექცია**. პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ივ. ალ. ჯავახიშვილი წაიკითხავს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სასარგებლოდ ოთხს საჯარო ლექციას საქართველოს ისტორიიდან ქართულს ენაზე 13, 14, 15 და 17 იანვარს, პუშკინის სახლში, ალექსანდრეს ბაღში. ლექციების საგანი იქნება: „ქართული ისტორიული ლიტერატურა საზოგადოებრივ აზრთა მიმდინარეობასთან შეკავშირებული მე-5—18 საუკუნოებში". ლექციები დაიწყება საღამოს შვიდ საათზე 13, 14 და 15 იანვარს, ხოლო 17 იანვარს რვა საათზე. ფასები ადგილებისა ათი შაურიდან 25 კაპეიკამდეა. ბილეთები იყიდება პუშკინისავე სახლში. პროგრამმა ლექციებისა:

1. ქართველთ მოწამეთა და წმიდათა მამათა ცხოვრებანი. 2. იოანე საბანის ძე. 3. ცხოვრებანი მონასტრების აღმშენებელთა გრიგოლ ხანცთელისა და სერაპიონ ზარზმელისა. 4. თხზულებანი საქართველოს მოქცევის შესახებ და შესახებ ეკლესიათა განყოფისა. 5. „ქრონიკები და ქართველთა ცხოვრება". 6. გიორგი მთაწმინდელი და გიორგი მცირე, როგორც ისტორიკოსნი. 7. მეთოდოლოგიური შეხედულებანი ეფრემ მცირისა. 8 ლეონტი მროველი და ჯუანშერი. 9. სუმბატის ისტორია. 10. ისტორიკოსები დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფისა. 11. ისტორიკოსი მონგოლთა ხანისა. 12. „ძეგლი ერისთავთა". 13. პასხალიონები (კვინკლოსები) და ქრონიკებ—15—18 საუკ. 14. ფარსადან გორგიჯანიძე. 15. ვახტანგ მეფის კომისიის შრომა. 16. ისტორიკოსი ვახუშტი. 17. სეხნია ჩხეიძე. 18. პაპუნა ორბელიანი და 19. ომან ხერხეულიძე.

იმედია, რომ ამ საინტერესო და საყურადღებო ლექციებს ბლომად დაესწრება ქართველი საზოგადოება, მით უმეტეს, რომ ფასები ლექციისა იაფია და კრიტიკული განხილვა ქართველ ისტორიკოსთა თავი საგანია ქართულ ისტორიის დასაფასებლად და შესაგნებლად.

✦ **მთავრობის მამასახლისის გადაყენება**. როგორც ქართლიდან გვატყობინებენ, ტყვიავში გაუუქმებიათ მთავრობის მამასახლისის თანამდებობა. მალე გლეხების ყრილობა მოხდება მამასახლისის ასარჩევად.

✦ **ი. გომართელის საქმე**. თებერვლის პირველ რიცხვებში ტფ. სამოსამართლო პალატაში უნდა გაირჩეს საქმე ივ. გომართელისა, რომელსაც ღვთის გმობა ჰბრალდება. ოლქის სასამართლომ გომართელი გაამართლა, მაგრამ ბრალმდებელმა საქმე განასაჩივრა.

✦ **ცოლის დაჭრა**. არგუთინსკის ქუჩაზე, საპატიმროს მახლობლად, სიღნაღის მაზრის სოფელ ვაქირის მცხოვრებს, ხელობით მუშას, მოსე კამაშვილს ჩხუბი მოსვლია ცოლთან. ჩხუბის დროს კამაშვილს თავისი ცოლი სოფიო დანით დაუჭრია თავსა, კისერსა და ხელში. დაჭრილი საავადმყოფოში გაჰგზავნეს. კამაშვილი დაპატიმრეს.

✦ **ნიხრს არ ასრულებენ**. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის საბჭომ ხორცის ფასი 12 კაპეიკად გაჰხადა, ყასბები ამ ფასსაც არა სჯერდებიან და ერთ-ორ კაპეიკს უმატებენ. ავჭალის ქუჩაზე და ზოგან სხვაგანაც ყასბები 13—15 კაპ. ჰყიდიან გირვანქა ხორცს. ზოგან უვარგისი ხორცი იყიდება, აწყვია უსუფთაო დუქნებში. საჭიროა, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას.

✦ **მსახიობ ქალის მელიქიანცის 25 წლის მოღვაწეობა**. როგორც ვწერდით, ქართულ და სომხურ დრამატიულ საზოგადოებას აზრადა აქვთ წარმოდგენის მართვით აღნიშნონ ქ-ნ მელიქიანცის 25 წლის მოღვაწეობა სცენაზე. ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ საიუბილეო კომიტეტში თავის წარმომადგენლებად აირჩია ნ. დ. ერისთავი და თ. კ. მაყაშვილი.

✦ **სხდომა**. ხვალ, 13 იანვარს, საღამოსათვის მიმდინარე საქმეების განსახილველად დანიშნულია სხდომა წ.-კ. საზოგადოების მთავარ გამგეობისა.

✦ **ფონდის გაძლიერება**. წ.-კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ 400 მან. მიიღო ადესაში შეკრებილი განსვენებული პროფესორის ვ. პეტრიაშვილის სახელობის ფონდის გასაძლიერებლად.

✦ **დრამატიულ საზოგადოების კრება**. 24 იანვრისთვის დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება. კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობის სამი წევრი და ერთი კანდიდატი.

✦ **სესხის ნებართვა**. ხმ. მიქელაძე პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებს ტფ. ქალაქის თავის მოადგილეს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა ტფ. თვით-მართველობის შუამდგომლობა $3^1/_2$ მილიონ მანეთის სესხის აღების შესახებ. ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა სესხის რეალიზაციას. როგორც მკითხველებმა იციან, თვითმართველობამ გადასწყვიტა, ეს სესხი აიღოს იმ აზრით, რომ გამოაკეთოს განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს შერყეული ქალაქის ფინანსები.

✦ იანვარს ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა: ობსევატორიის ქუჩაზე პავლე ხოლზოვისთვის ქურდებს მოუპარიათ 70 მან. ნივთები. პეტერბურგის ქუჩაზე ნადეჟდა ლებედევისას სახლის აივანიდან გადმოუვარდა 3 წლის ბავშვი, რომელიც სასიკვდილოდ დაშავებულა. ავჭალის ქუჩაზე მისაშვილის რესტორანის ნოქარს ტიმოთე გოქსაძეს 10 საათზე ორი კაცი შეხვედრია შუაბაზარში და ვითომ ოქროს ბრასლეტი შეუძლევია. გოქსაძეს 27 მან. უძლევია. ერთ უცნობს გამოუგლეჯნია ფული, მუშტი საფეთქელში დაურტყავს და გაქცეულა, ხოლო მეორეს გოქსაძისთვის ხელში სპილენძის ბრასლეტი მიუჩეჩებია პოლიციამ ბოროტმოქმედნი დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდნენ მარტყოფის მცხოვრები გიორგი ბექანოვი და გუმრის მცხოვრები არშაკ ბაგიანცი. ორივენი პასუხის გებაში მისცეს. სუდების ქუჩაზე მცხოვრების ეკატერინე ერივანცევისათვის 152 მანეთის ნივთები მოუპარავთ.

აღმაშფოთებელი მდგომარეობა

(წერილი ქუთაისიდან)

კარგა ხანია, ქუთაისის საზოგადოება ასეთს აღშფოთებულს მდგომარეობაში აღარ გვინახავს. რა წრის ადამიანსაც უნდა შეხვდეთ, ყველა გაოცებით, გაურკვეველ გულის წყრომით გეკითხება: რისთვის, რატომ, რა ღვთის წყრომაა, რა დანაშაული მიუძღოდა და სხვა.

პარასკევს, იანვრის 9-ს, ქუთაისში შუადღისას მოჰკლეს თავ. ალექსანდრე თენგიზის ძე დადიშქელიანი.

განსვენებული ოზურგეთიდან ჩამოვიდა ქუთაისს და სვანეთს უნდა გამგზავრებულიყო თავის უფროს ძმის თათარხანის გამოსატირლად, და დღეს-ხვალ თვით იგი უნდა სა-

კაცით გვერდით მიუსვენონ უფროსს ძმას. იმ საბედისწერო დღეს ყველასაგან საყვარელი, უწყინარი, შესანიშნავი საამხანაგო, სამეგობრო კაცი, საბრალო ციოხი ქალაქის საავადმყოფოში მიდიოდა ცოლის სანახავად. იქ იწვა მისი ავადმყოფი ცოლი, ბაბილინა ერისთავის ასული. ალექსანდრეს (ციოხს) მკერდით ხელ გაყრილი მიჰყვებოდა ცოლის ახლო ნათესავი, ასინო ერისთავის ასული. სულ რამდენიმე ნაბიჯი-ღა იყო საავადმყოფომდის, რომ გავარდა რევოლვერი. ბოროტ ადამიანს, როგორც ეტყობა, რევოლვერის ლულა თითქმის ზედ დაუდვია. მარცხენა ბეჭს ქვემოდ პალტო გამომწვარია. ტყვია პირდაპირ გულშია გამოსული. პირველად სასიკვდილო ჭრილობა იყო, მაგრამ ავსულს მეორე ტყვიაც დაუხლია. თავ. დადეშქელიანი იქვე ჩაკეცილა, ერთი სიტყვაც კი ვერ მოუსწრია ეთქვა ზარ-დაცემულ, გაშტერებულ ერისთავის ასულისათვის, რომელიც გვერდით მისდევდა.

გაისმა გულმოსაკლავი კივილი, საზარელი ძახილი—მიშველეთ! მოჰკლეს! მიშველეთ!..

ორჯერ კიდევ გავარდა რევოლვერი და მკვლელი მიიმალა. არსად დარაჯი, არსად პოლიცია, აუარებელი ხალხი, პარასკევი, ბაზრობის დღე. ეს ამბავი მოხდა საბაზრო ადგილთან, სადაც ამ დღეს, სხვა დროს პოლიციას მუდამ საქმე აქვს წესრიგისათვის... და კაცი არსად გაჩნდა. მკვლელი გარბის, მოისვრის ნაბადს, ერთი ხიდიდან მეორე ხიდამდის მიაღწევს თითქმის, აქ ჩოხასაც მოისვრის და რიონის პირს გაჰყვება. პოლიციას ხელთ შერჩა მარტო ნაბადი და ჩოხა.

მოჰკლეს ადამიანი უწყინარი. არავის, გარდაა კეთილისა, არა ახსოვს რა იმისგან... ხუთი შვილის მამა, მაგრამ ჯერ კიდევ ჯან-საღი, ახალგაზდა თითქმის.

ამ ახლო ხანში გადაამწესეს იგი გურიაში სახაზინო ტყეების გამგედ (лѣсничій). უმაღლესი განათლება არა ჰქონია მიღებული, მაგრამ კაი ადამიანობით, სიბეჯითით, პატიოსნებით-კი განათლებული იყო; ზრდიდა შვილებს, თავს ევლებოდა ოჯახს..

ხმებია, დადასტურებითაც ამაობენ,—მოსდიოდა ამბები საბრალოს, წერილებიც არისო, აფრთხილებდნენ, მტრები გყავს, მოკვლას გიპირებენო... მაგრამ ალექსანდრე სვანი იყო, გულ-მართალი, ალალი, ვაჟკაცი, პირდაპირ მისულს მტერს არ შეუშინდებოდა და იმის წარმოდგენა კი, თუ ავაზაკურად გაიმეტებდნენ სასიკვდილოდ—ჴ შეეძლო...

ვის რა დაუშავე საბრალო ციოხ?!.

დ. მეხხი.

მოწერილი ამბები

ს. ნიგოითი (გურია). დღეს გურიის ყველა სოფელმა შეიგნოს სწავლა-განათლების აუცილებლობა და ყველა სცდილობს გაიმრავლოს სკოლები. იმარჯვებს და მიზანს აღწევს ის, რომელსაც მხნე და გამრჯელი ინტელიგენცია ჰყავს. ნიგოითი ამ მხრით არ ჩამორჩებოდა სხვა სოფლებს, რომ დღემდე მხნე ინტელიგენცია ჰყოლოდა. წელს კი სულ სხვანაირად მოეწყო საქმე; აქ არსებულ სასწავლებლებს (ორკლასიანი, ერთ-კლასიანი და სამრევლო) ბევრი ბავშვი მიაწყდა და ზედმეტიც რომ მიეღოთ, სკოლებს გარედ 120 ბავშვი მაინც რჩებოდა. ამის გამო არა-სასიამოვნო ამბავი ხდებოდა მშობლებთა შორის, რომ ამ გარემოებისათვის ყურადღება არ მიექციათ სკოლის ზედამხედველს ნ. ძიძიგურს და საპატიო მზრუნველს ი. სურგულაძეს. ამათის შუამდგომლობით აქ მოვიდა სახალხო სკოლების ინსპექტორი, რომელსაც ხალხი შენობის აგებას შეჰპირდა და სთხოვა სასწავლებლების რიცხვის გადიდება სახელმწიფო ხარჯზე. ინსპექტორმა სთხოვა ორი მასწავლებელი დროებით მათ ხარჯზე და აღუთქვა აბრეშუმის სექსოვ განყოფილების გახსნას სახელმწიფო ხარჯზე, თუ ხალხი შენობას ააგებს და წლიურად 100 მანეთს გადიხდის. ხალხმა სიხარულით მიიღო ინსპექტორის წინადადება. შემდეგ სოფელმა აირჩია შემატებულ განყოფილებებისთვის შენობის ამგები ვექილები, რომელთაც ხანგრძლივ მუშაობის შემდეგ გადასწყვიტეს ხსენებულ განყოფილებების მოსათავსებლად ააგონ დღევანდელ ორ-კლასიან სასწავლებლის აგურის შენობაზე ზემო სართული. ეს საქმე ჯდება 5000 მანეთად. თუმცა ასეთ პატარა სოფლისთვის, როგორიც არის ნიგოითი, ძნელი იყო ამოდენა ფულის გადახდა, მაგრამ აუცილებლობას ვერ აუხვიეს, ვექილებს დაუთანხმნენ და შენობის აგებაც გასცეს ქირით.

როდესაც საზოგადოება ამ საქმეში იყო, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი გურიის სასწავლებლების სარევიზიოდ ჩამოდიოდა. ეს რომ გაიგეს, ზედამხედველი ნ. ძიძიგური მასწავლებლებით და ხალხით ნიგოითის სადგურზე დახვდა მზრუნველს და სთხოვა ახლად დაწყებულ შენობაზე დახმარება. მზრუნველს შეხვედრა ესიამოვნა და დახმარებაც აღუთქვა. ნიგოითის საქმის მდგომარეობა ტ. ართმელაძემ დაწვრილებით გააცნო მზრუნველს დანჩხუთში ყოფნის დროს. მზრუნველიც შესაძლებელ დახმარების აღმოჩენას დაჰპირდა. ამიტომ საზოგადოებამ მზრუნველთან გაჰგზავნა დეკემბერში სამი კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია დანაპირების გასახსენებლად. მზრუნველმა დეპუტაცია (ტ. ართმელაძე, ი. სურგულაძე, ნ. ძიძიგური) კარგად მიიღო და მისცა მათ ხსენებულ სასწავლებლისათვის 2000 მანეთი ერთ-დროულ დახმარების სახით და დაჰპირდა იანვრიდან მომატებულ ორ მასწავლებლისთვის კრედიტის გახსნას, სულ 720 მანეთს. მასთან მადლობა უთხრა დეპუტაციას საქმეზე ერთგულობისათვის, ხალხსაც დეპუტაციის პირით გულითადი გამარჯვება უსურვა ასეთ საქმეში. გარდა ამისა, ტ. ართმელაძემ მზრუნველს ს. ქვიანში (ნიგოითის საზოგადოებისაა) ახალი ტიპის სამეურნეო სასწავლებლის დაარსება სთხოვა, რომელსაც ყოველ წლიურად 2000 მანეთი სჭირდება. მიწის შენებას და საჭირო შენობის აგებას სოფელი კისრულობსო, აცნობა ტ. ართმელაძემ მზრუნველს. მზრუნველი ტ. ართმელაძეს დაჰპირდა შუამდგომლობის გაწევას, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ ყოველ წლიურად 2000 მანეთი გადასდოს ამ სასწავლებლისთვის. ამნაირად ნიგოითის ღარიბმა საზოგადოებამ დიდი ნაბიჯი წარსდგა წელს სწავლა-განათლების საქმეში: მას თუ დღემდი ხაზინიდან 120 მანეთი ეძლეოდა და სასწავლებლებიც ნაკლები ჰქონდა, იანვრიდან აქვს 720 მანეთი ყოველ წლიური თანხა მასწავლებლების შესანახად მიიღო ერთ დროული დახმარება 2000 მანეთი და შეიძინა აბრეშუმის საქსოვი სკოლა, სადაც ბავშვები შეისწავლიან ქსოვილების მომზადებას. ყველა ამ საქმის დაგვირგვინება სკოლის ზედამხედველმა ნ. ძიძიგურმა შესძლო. ამას ჰქონდა ბევრნაირი მიწერ-მოწერა, მისვლა-მოსვლა სამოსწავლო მთავრობასთან. თავის მხნე მუშაობით იქონია გავლენა როგორც სამოსწავლო მთავრობაზე, ისე საზოგადოების ზოგიერთ ბნელ ელემენტებზე: ამანვე გავლენა იქონია აქაურ ინტელიგენციაზე და მოიწოდა საქმეზე. მხნედ მუშაობდნენ სადგურის უფროსი გ. დიდიძე, მამასახლისი გახუ ბერაია, მღვდელი იოსავა, მწერალი შონია, მასწავლებლები, ვექილები, სკოლის მზრუნველები ფილია და ორმოცაძე. კირილე დიდიძემ, მატერიალურ დახმარებაც გაუწია ერთკლასიან ღარიბსასწავლებელს: მან შესწირა 50 მანეთი მოსწავლეების სკამების შესაძენად.

მასწ. ერ. კაჭახაძე.

ტფ. ქალაქის საბჭო

11 იანვარი.

დიდი ხანია ქალაქის საბჭოს ჩვეულებრივი სხდომას იმდენი ხალხი არ მიუზიდნია, რამდენიც 11 იანვრის სხდომამ მიიზიდა. საღამოს 8 საათისათვის საბჭოს დარბაზი და გალერეია გაჭედილი იყო ხალხით. ბევრი დაესწრო ტრამვაის მოხელე-მოსამსახურე. ყველას უნდოდა გაეგო, როგორ შეჰხედავდნენ „ქალაქის მამები“ 5 იანვარს ვერის დაღმართზე მომხდარ უბედურებას. ხმოსნები, როგორც ჩვეულებრივ სხდომაზე, ზარმაცად იკრიბებოდნენ. $7^1/_2$ საათზე შეკრებილი ხალხი $8^1/_2$ საათამდე უცდიდა ხმოსნების კანონიერ რიცხვის შედგენას.

სხდომის დაწყებისთანავე თავმჯდომარემ ალ. ი. ხატისოვმა მოხსენება წარუდგინა საბჭოს 5 იანვრის ამბის შესახებ. მკითხველებმა ეხლა ყოველივე წვრილმანი იციან ამ ამბისა. როგორც ვწერდით, მოხდა შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და ტრამვაის მეთვალყურე კომისიისა და მთელი ის მასალა, რომელიც საბჭოს წარედგინა, განხილულ და შესწავლილ იქმნა ამ შეერთებულ სხდომაზე. დამატებით ქალაქის გამგეობა დირექტორს ბატაილს შეეკითხებია, ეცნობებინა, რა იყო მიზეზი 5 იანვრის უბედურებისა, როგორ მდგომარეობაში იყო ტორმოზები უბედურების დროს, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ერთ მიზეზთაგანად ვაგონის ძლიერ დაქანება, რა შტატი იყო მოსამსახურეების ვერის დაღმართზე წინად და რამდენად შეამცირეს ეს შტატი და სხვ. დირექტორი პირდაპირ და გადაჭრილ პასუხს არ იძლევა არც ერთ პასუხში. მიზეზის შესახებ იგი, მაგ., ამბობს, რომ დანამდვილებით ძნელია დასახელებულ იქნას მიზეზი უბედურებისაო. შესაძლებელია უბედურების მიზეზად გახდა დაღმართზე ვაგონის ძლიერი დაქანებაო. შემდეგ ბ-ნ ბატაილს ჩამოთვლილი აქვს ის, თუ მომავალში რა ზომები იქნება მიღებული, რომ უბედურება აღარ განმეორდეს. ვერის დაღმართზე ამუშავებდნენ 4 კაცს, რომელთაც მორიგეობით ჰქონიათ დავალებული ქვიშის მოყრა ლიანდაგზე და ლიანდაგის ღარის გაწმენდა. ორი დილით მუშაობდა, ორი საღამოობით.

ცნობები პოლიცმეისტრისგანაც მიუღია ქალაქის გამგეობას. სხვათა შორის, პოლიციის ოქმში აღნიშნულია, რომ სველ ლიანდაგზე საკმაო და კარგი თვისების ქვიშა არ იყრება, ამის გამო ვაგონი ძალზე დაქანდაო.

ქალაქის გამგეობა ამ საქმის გამო შემდეგ დადგენილებაზე შეჩერებულა: 1. დაევალოს გამგეობასა და ტრამვაის მეთვალყურე კომისიას განაგრძონ მასალის შეკრება და საქმის გამოძიება უბედურების მიზეზთა გამოსარკვევად და ამ საქმის დამნაშავეთა გამოსარკვევად; 2. მოეთხოვოს უსახელო საზოგადოებას, აცნობოს საბჭოს, რა ღონისძიების მიღებას აპირებს იგი რომ მცხოვრებნი უზრუნველ-ყოფილ იქმნენ უბედურებისაგან.

როგორც მოსალოდნელი იყო, გამგეობის მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. თამდე ხმოსანმა ილაპარაკა. ხმ. სვეშნიკოვმა, ჯაფარიძემ, ვესელოვზოროვმა, ტიგრანოვმა და სხვებმა საზოგადოდ აღნიშნეს ნაკლულევანებანი ტორმოზებისა, მოსამსახურეთა შტატის შემცირება, შეეხნენ იმას, რომ ქალაქის მხრით ნაკლები კანტროლია. ხმ. ვაწაძემ სთქვა: უნდა გამოირკვეს, დაღმართზე ავდრიან დღეებში საკმაოა თუ არა ერთის ვატმანის ძალა არსებულ ტორმოზით ვაგონის შესაჩერებლად და თუ გამოირკვა, რომ არა — მაშინ ვატმანს არავითარი ბრალი არ უნდა დაედოს. ხმოსნის აზრით, უნდა სათადარიგო ტორმოზიც გაუკეთდეს ვაგონებს. ხმ. ჯაბადარს საკმაოდ არ მიაჩნდა საქმის ვითარების გამოსარკვევად მარტო დირექტორების დაბარება, საჭიროა მოწვეულ იქმნენ თვით ვატმანები, კონდუქტორები და კონტროლერები. ამათ კარგად იციან ყველა ნაკლულევანება და ნათელს მოჰფენენ საკითხსაო. ტრამვაის მეთვალყურე კომისია კანტროლის საქმეში სუსტია და უნდა ვეცადოთ, კანტროლი უკეთ მოეწყოსო.

კამათმა ღამ-ს 1 საათამდე გასტანა. ილაპარაკეს სხვა ხმოსნებმაც. დასასრულ საბჭომ მიიღო გამგეობის ამ საქმის შესახებ დადგენილებანი და გამოსთქვა სურვილი, საქმე ჯეროვანად გამოირკვეს და ყველაფერი თავის დროზე მოხსენდეს საბჭოს.

თეატრი და ხელოვნება

რეჟისორი. ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ მორიგ რეჟისორად მოიწვია მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

პიესები. ქართული დრამატიული დასი ამზადებს ორ პიესას „სამეგრელოს მთავარი ლევან“, ლევანის როლს შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი და „სად მიხვალ“. პეტრონიის როლს შეასრულებს პირველად ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

უცხოეთი

არჩევნები ინგლისში.

„რუსკ. ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი საინტერესოდ ასწერს ინგლისის ეხლანდელ მნიშვნელოვან არჩევნებს და ინგლისელ ამომრჩევლებს. კორესპონდენტი სწერს:

„მე მეტად დინჯ, წყნარ უბანში ვდგევარ. აქ სულ დარბაისელი, შეძლებული ხალხი დგას, აქ სრულებით არაა დუქნები. ჩვეულებრივ დროს ჩემი უბნის მცხოვრებნი ისე არიან გართულნი თავიანთ საქმეებში, რომ პოლიტიკა თითქმის ავიწყდებათ. ეხლა კი სულ ვეღარ მიცვნია ჩემი დინჯი მეზობლები: ფულიანნი გაფიცხდნენ, ღელავენ, აგიტაციას ეწევიან და ამა იმ პარტიის პროგრამას იცავენ.

ჩემს მეზობელს ფანჯარაში უკიდია პროკლამაცია, რომელიც ურჩევს ხალხს „მთავრობა კინწის კვრით გავაგდეთ“ რადგან ეს მთავრობა ინგლისელებს ადებს გადასახადებს, უნიონისტები-კი რომ აგვირჩიოთ, ყოველი გადასახადი უცხოელებს დააწვება კისერზეო. გამოველაპარაკე და დავრწმუნდი, რომ ჩემ დინჯ მეზობელს მართლაც სჯერა, რომ უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე ბაჟების დადება სრულიად გაანთავისუფლებს ინგლისელებს გადასახადებისაგან და მათ მაგივრად უცხოელების კისრიდან ამოიღებენ გადასახადებსაო. იგი თავის რწმენას ორიგინალურად ასაბუთებს: „ბაჟები რომ უსარგებლო იყოს, უცხო სახელმწიფოებიც მოსპობდნენ მათ და თავისუფალ ვაჭრობას დააწესებდნენ, ნამდვილად-კი თავისუფალი ვაჭრობა მთელს ქვეყნიერობაზე მარტოდ-მარტო ინგლისში არსებობსო“. ვუპასუხე, რომ თუმცა ჩვენში, რუსეთში ბაჟები დიდი ხანია არსებობს, მაგრამ გადასახადებს მაინც ისევ თითონ რუსები იხდიან, „ნედოიმკებისთვის“ ქონებას უყიდიან რუსის გლეხებს და არა უცხოელებს მეთქი. მაგრამ ჩემმა პასუხმა არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა ჩემს მოსაუბრეზე.

ჩემი მეორე მეზობელი—დინჯზე დინჯი კაცია. ეხლა გავიგე, რომ იგი ყოფილა უკიდურესი რადიკალი. მან არა თუ მარტო ფანჯრებზე, თავის ბაღის ღობეზედაც-კი გააკრა აფიშები განცხადებანი: „კონსერვატორების მეთაურმა, განსვენებულმა ლორდ ბიკონსფილდმა სთქვა: „პროტექციონიზმი, ესე იგი მფარველობითი ბაჟები საუკუნოდ გაჰქრა, სამუდამოდ დაიწყევლაო“ ეხლანდელ მთავრობის ბიუჯეტიდან 3 მილიონი გირვ. სტერლინგი გადადებული იყო უმუშევრებისთვის, ხოლო 18 მილიონი სოციალურ რეფორმებისთვის განსაკუთრებულად, ლორდებმა-კი არ დაამტკიცეს ასეთი ბიუჯეტი. ამომრჩევლებო, ეხლა სამაგიეროდ თქვენ უნდა გაჰრეკოთ ლორდები“. „რა დახმარებას გაუწევენ ლორდები უმუშევრებს“?—გადასახადს დაადებენ მათ საჭმელს. „რას გააკეთებენ ლიბერალები მუშებისთვის?—უზრუნველჰყოფენ უმუშევრობისაგან“.

აგერ კიდევ ჩემი ნაცნობი ინგლისელი ვიცი, რომ ის ახალ ბიუჯეტის მომხრეა და ლორდების მტერი. მით მაინც ვხედავ, რომ მის სახლის ყოველ ფანჯარაში ჰკიდია ქაღალდები, რომლებიც მოუწოდებენ ამომრჩევლებს—ხმა პროტექციონისტებს მისცენ. თურმე ჩემი მეზობელი იმიტომ არის მთავრობისა და ლიბერალების წინააღმდეგი, რომ ისინი ჰომრულს (ავტონომიას) დაჰპირდნენ ირლანდიელებს. მის აზრით, „ჰომრული ჰნიშნავს კათოლიკეთა ბატონობას“. ჰომრულის დროს კათოლიკეთა ღვდლები ბატონობას დაიწყებენ და პროტესტანტებისთვის (ინგლისელებისთვის) სასტიკ კანონებს გამოსცემენო. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ნამდვილად-კი საქმე სულ სხვანაირადაა. ირლანდიელი ნაციონალისტები როდი არიან ისეთი ფანატიკოსები, როგორც ეს „მორწმუნე“ ინგლისელებს ჰგონიათ. ღვდლებს ირლანდიელები მხოლოდ პოლიტიკურის მოსაზრებით იხმარებენ პოლიტიკურ ბრძოლაში. ჰომრულის დროს გამოჩნდება, რომ ირლანდია სულ არაა ისეთი ფანატიკოს-კათოლიკეთა ქვეყანა, როგორც ეს ინგლისელებს ეჩვენებათ. ირლანდიელების სარწმუნოებრივ მოთმინებას ჰმოწმობს ის ფაქტიც, რომ მათი უდიდესი მეთაური პარნელი პროტესტანტი იყო.

ჩვეულებრივ დროს ომნიბუსის ბანებზე მგზავრები ჩუმად სხედან და გაზეთებს ჰკითხულობენ. ეხლა-კი მათ შორის ცხარე კამათი იმართება პოლიტიკურ და ეკონომიურ საქმეებზე. ერთი ხანში შესული დარბაისელი კაცი უხსნის ხელოსანს, რომ „სატარიფო რეფორმა (ბაჟების დაწესება) ზარალის მეტს არას მოუტანს ხალხსაო. ხელოსანი ღელდება და სხვამ სხუპით მოჰყავს გაზეთიდან ამოკითხული საბუთები ბაჟების დასაცველად.

— ლორდებს რა თავში ვიხლი?—ამბობს აღელვებული ხელოსანი—ღმერთმა მშვიდობა მისცეთ! მაგრამ მთავრობა ერთნაირ გადასახადს რად ადებს ლუკმა თამბაქოზე და მდიდრის სიგარას? ლოიდ-ჯორჯმა გადასახადი დაადვა ჩვენს ლუდსა, ხოლო შამპანიურს არაფერი. თქვენ-კი იცავთ ასეთს მთავრობას. ჩვენ გადასახადებს ვიხდით, ხოლო უცხოელები-კი რომლებსაც თავიანთი საქონელი შემოაქვთ ჩვენში, მდიდრდებიან და თან უმუშევრებს ამრავლებენ ინგლისში. არ მესმის, როგორ იცავთ ასეთს მთავრობას?

ამ ჟამად ლონდონში მრავალი შეუგნებელი მუშა ემხრობა პროტექციონიზმს“.

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და ხიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—38)

იაფი შემოწმებული საათი

შეიძლება იყიდოთ მხოლოდ

ა. გოლდ-შტეინთან

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. ვერცხლის და ოქროს ნივთები სულ იაფად.



(10—ხალ.—9)

მოითხოვეთ სწორე და მკვიდრი საათები!

ნუ გამოეკიდებით სხვა იაფ ფასიან საათებს!

კარგი საათი ყოველთვის კარგ ფასადა ღირს. უკანასკნელი ამბავი პარიზისა.

ოქროს საათის ნაცვლად, რომელიც 200 მან. ღირს, გირჩევთ შეიძინოთ მამაკაცის საუცხოვო საათი 3 დასახურით—„ხეცესია“, რომელიც ოქროს საათსა ჰგავს, რადგან ელექტრონ. სამუალ. გადაკრული აქვს 14% ხქელი ოქრო. მექანიზმი ამ საათისა ნამდვ. შვეიცარ., 15 ქვიანი, იმარ ება 40 საათში ერთხელ. ეს საათი ნამდ. ახალ ოქროსია და დაჯილდოვებულია ოქროს მედლით და სხვა ნიშნ. **ფასი 5 მ. 25 კ.** 2 ცალი—10 მ., 4 ცალი—19 მ. 50 კ. ვინც ამ საათს ნახავს, ჰგონია 250 მან. ღირსო. ვგზავნი მემოწმებ. საათს და ვკისრულობ პასუხის-მგებლობას 10 წლით. იგზავნება ფას-დადებით და უმეოდ. გაგზავნა ბაჟით 60 კ. (ციმბირში 90 კ.) ადრესი შეიძლება ამოიჭრას და მაგრა მიეკრას კონვერტს ან ღია წერილს.

Парижъ 7 S. Strumfeld
PARIS B-ard St. Marcel 76

უფასოდ ვგზავნით ახალ ოქროსს კოტა ძეწკვს და ზამთის ბუდეს საათისთვის. წერილის გამოგზავნა შეიძლება რუსულად, დაბეჭდილ წერილს უნდა დაეკრას 10 კ. მარკა, ღიას—4 კაპ.

(Метцль и К°. N 247). (8—6.—1)

გრამოფონების მეგობრებისა და მოყვარულების

სასურადღებოდ.

სოლოლაკში, სერგეევის ქუჩაზე, აზოვ-დონის ბანკის პირდაპირ,

გრიგოლ სერგეის ძე დავიდოვმა გახსნა

◀ გრამოფონებისა და ფირფიტების ახალი საწყობი ▶

მიღებულია აუარებელი ორპირიანი ფირფიტა ზონოფანის ქარხანა და სააქციონერო საზოგადოება

„გ რ ა მ ო ფ ო ნ ი“

საქარხნო მარკით: ანგელოზი კალმით ხელში.

ქალაქ გარეშე მყოფ მყიდველების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ რადგან საწყობს აუარებელი საქონელი მოუვიდა, ამიტომ დაკვეთილი საგანი სწრაფად და ხელად გაეგზავნება. (5—5—4)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА 1910 ГОДЪ

(ТРЕТІЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)

на двухнедѣльный журналъ

„ФИНЛЯНДІЯ“.

Выходитъ 10 и 25 числа каждаго мѣсяца.

24 номера въ годъ.

Редакторъ: **А. В. Игельстромъ.** Издатель: **Д. Д. Протопоповъ.**

Задачей журнала „ФИНЛЯНДІЯ“ является освѣщеніе такъ называемаго „финляндскаго вопроса“ и отраженіе несправедливыхъ шовинистическихъ нападковъ извѣстной части русской періодической печати на Великое Княжество и его внутреннюю самостоятельность, многократно подтвержденную россійскими Монархами.

„ФИНЛЯНДІЯ“ кромѣ того даетъ обширный фактическій матеріалъ по всему, что касается жизни этой страны и что содѣйствуетъ культурному сближенію русскаго и финляндскаго общества.

подписная цѣна съ доставкой и пересылкою:

	Въ Россіи и Финляндіи.	Заграницу.
На цѣлый годъ	6 р. — к.	7 рублей
„ полгода	3 » — ».	4 »
„ три мѣсяца	1 » 50 ».	—

Отдѣльные номера 25 копѣекъ, (Наложеннымъ платежомъ 35 копѣекъ).

Подписка принимается въ конторѣ редакціи: С.-Петербургъ, Мойка, 24 (у Пѣвческаго моста). Тел. 109—12, въ книжномъ магазинѣ Р. Эдгрена (Б. Конюшенная, 8), „Наша Жизнь“, М. О. Вальфа, а также во всѣхъ книжныхъ магазинахъ столицъ, Финляндіи и провинціи. (3—2).

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.